საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

15/08/2025

MES 0 25 0000986825

გადაწყვეტილება

შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ აიიუთის "ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამისათვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1 „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 - ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საბჭო, თუ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-5 და მე-9 პუნქტების და აკრედიტაციის დებულების 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ვერ აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს, კერძოდ, თუ საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას: ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, პირობითი აკრედიტაციის ვადაა არაუმეტეს 4 წელი.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 07 აპრილის №381022 (ცვლილება ბრძანებაში №512187 - 13/05/2025) ბრძანების საფუძველზე განხორციელდა დაწესებულების ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ:

ა) აკრედიტაციის საბჭომ 2.4 კომპონენტში არსებული რეკომენდაციის ფორმულირება შეცვალა და შემდეგი სახით ჩამოაყალიბა:

"რეკომენდებულია, რომ მოხდეს შეფასების ერთგვაროვანი სისტემის დივერსიფიკაცია და შუალედური გამოცდა უზრუნველყოფდეს ცოდნის შემოწმებას სწავლის შუალედურ ეტაპზე."

აღნიშნულს არ გამოუწვევია როგორც სტანდარტის, ისე 2.4 კომპონენტის ცვლილება.

ბ) საბჭომ 3.1 კომპონენტში არსებული შემდეგი რეკომენდაცია არ გაითვალისწინა:

„რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირება სტუდენტური თვითმმართველობის არსისა და ფუნქციონირების შესახებ, რათა სტუდენტებმა იცოდნენ თავიანთი უფლებებისა და ჩართულობის შესაძლებლობის შესახებ."

აღნიშნულს არ გამოუწვევია როგორც სტანდარტის, ისე 3.1 კომპონენტის ცვლილება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-5 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ აიიუთის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 4 წლის ვადით, 2029 წლის 01 აგვისტომდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 15 აგვისტოს სხდომის №986821 ოქმის №03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 3).

4. დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია, საგანმანათლებლო პროგრამის ინიციირებისას შესწავლილი იყოს სამიზნე ჯგუფებში მისი საჭიროება;
- რეკომენდებულია, რომ დაწესებულებას ჰქონდეს მკაფიო ხედვა პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესახებ;
- მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის განმახორციელებლები სიღრმისეულად იცნობდნენ საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას, სტრუქტურას, მახასიათებლებს;
- საფუძვლიანად გადამუშავდეს უნივერსიტეტის სახელით შექმნილ დოკუმენტები, რათა აღმოიფხვრას სხვა დაწესებულების ანალოგიური პროგრამის ჩანაწერები;
- შემუშავდეს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის პრეტესტი;
- შემუშავდეს ქართულ ენაში წერილობითი და ზეპირი გამოცდების კრიტერიუმები და სტრუქტურა;
- რეკომენდებულია, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებში მითითებული ელექტრონული სწავლების პლატფორმა დანერგილი იყოს უნივერსიტეტში;
- რეკომენდებულია, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებისათვის ჩატარდეს შესაბამისი ტრენინგები ელექტრონული საწავლო კურსების შექმნისა და გამოყენების თაობაზე;
- რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა შექმნას და აამოქმედოს სტუდენტური პორტალი სასწავლო პროცესის ეფექტური მართვისა და კომუნიკაციისთვის;
- რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს საკონსულტაციო სერვისების ფაქტობრივი ფუნქციონირება და სტუდენტების ინფორმირება ამ სერვისების ხელმისაწვდომობის შესახებ;
- რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა გააქტიუროს სტუდენტური ჩართულობა აკადემიურ და სოციალურ აქტივობებში და უზრუნველყოს მათი დროული ინფორმირება დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;
- უსდ-ის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების გამართული მუშაობით ისე, რომ სტუდენტებსა და პერსონალს ჰქონდეთ მასზე სრულყოფილი წვდომა;
- რეკომენდებულია, დოკუმენტურად გაწერილი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის პრინციპების პრაქტიკაში განხორციელება და პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობა;
- რეკომენდებულია შემუშავდეს სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისა და შეფასებისთვის ცალკეული რეგულაცია, ე.წ. სახელმძღვანელო პრინციპები, რომელშიც დეტალურად იქნება ასახული სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისა და შეფასების მექანიზმები.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 01 აგვისტოს.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული

გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

ეროვნული ცენტრი
ზზამთელსამედიცინო
განათლებისა და